საქართველოში NUTS-ის დანერგვის საწყისი, <u>საორიენტაციო სამოქმედო გეგმა</u>

აქტივობა	პასუხისმგებელი	განხორციელების პერიოდი		შედეგი/ინდიკატორი
		დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი[1]	
სამუშაო ჯგუფის შექმნა (გარე ექსპერტთა შესაძლო მონაწილეობით)	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქსტატი	08/2020	09/2020	ჯგუფის შემადგენლობის შეთანხმება
NUTS სცენარების განხილვა და საუკეთესო სცენარის შერჩევა საქართველოსთვის	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქსტატი	09/2020	10/2020	NUTS სცენარების უწყებათა ხელმძღვანელობისთვის წარდგენა და შეთანხმება
NUTS-ის შესახებ მეორადი კანონმდებლობის შემუშავების საჭიროებათა განსაზღვრა (ახალი კლასიფიკაციის დასანერგად შესაძლოა საჭირო გახდეს საქსტატის ნორმატიულ აქტებში შესწორებების შეტანა)	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქსტატი	10/2020	03/2021	უწყებათა ხელმძღვანელობისთვის წარდგენილია შესაბამისი ანალიზი და წინადადებები
პრიორიტეტულ მონაცემთა განსაზღვრა შემოთავაზებული NUTS დონეებისათვის[2]	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქსტატი	10/2020	01/2021	უწყებათა ხელმძღვანელობისთვის წარდგენილია შესაბამის მონაცემთა ჩამონათვალი
(ქვე)სამუშაო ჯგუფების საჭიროებისამებრ ფორმირება	საქსტატი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შესაბამისი სამინისტროები	01/2021	02/2021	საჭიროებისამებრ, შექმნილია 3-4 (ქვე)სამუშაო ჯგუფი
სტატისტიკის **ჰარმონიზაციის გეგმის პირველადი პროექტის** მომზადება[3]	საქსტატი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	04/2021	06/2021	ჰარმონიზაციის პირველადი გეგმის პრეზენტაცია და შეთანხმება
ჰარმონიზაციის პირველადი გეგმის განხილვა და საბოლოო შეჯერება	საქსტატი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	06/2021	10/2021	მისიები და/ან სამუშაო შეხვედრები და სემინარები, გეგმის საბოლოო შეთანხმება/მოწონება
ჰარმონიზაციის გეგმის საბოლოო პროექტის შემუშავება-შეჯერება, მონაცემთა დამატებითი ბაზების ანალიზით და დეტალური ფინანსური გათვლებით[4]	საქსტატი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	10/2021	12/2021	საბოლოო გეგმა წარდგენილია უწყებათა ხელმძღვანელობისთვის.

[1] წინამდებარე საორიენტაციო **სამოქმედო გეგმაზე/ვადებზე შეიძლება ზეგავლენა ქონდეს მიმდინარე Covid19 პანდემიას ან სხვა გაუთვალისწინებელ გარემოებებს;** მითითებულმა ვადებმა შეიძლება გადაიწიოს **სამიდან ექვს თვემდე,** რაც მ.შ. დამოკიდებულია უსაფრთხოების შემდგომ ზომებზე, არსებული ვითარების სტაბილიზაციასა და შემდგომ ოფიციალურ რეკომენდაციებზე.

[2] 2020-2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის და მისი განხორციელების წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით და მათში ასახვის მიზნით.

[3] საჭირო იქნება ტექნიკური დახმარება ან დონორთა მხარდაჭერა.

[4] საჭირო იქნება ტექნიკური დახმარება ან დონორთა მხარდაჭერა.